საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამირეჯიბი ბარბარე მიხეილის ასული

ამირეჯიბი ბარბარე მიხეილის ასული (1872, თბილისი, – 1939, იქვე), პიანისტი, პედაგოგი, კომპოზიტორი, მუს. მოღვაწე.

ქართვ. მუსიკოსთა პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მუს. განათლება მიიღო მოსკ. კონსერვატორიაში. ქართ. ფილარმონიული საზ-ბის დაარსებიდანვე (1905) მისი გამგეობის წევრი და ხაზინდარი იყო. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა ფილარმონიული საზ-ბის სამუსიკო სკოლაში (1908-იდან), თბილ. II კონსერვატორიასა (1921-იდან) და I სამუსიკო სასწავლებელში (1925-იდან).

ა. იყო საქველმოქმედო საღამო-კონცერტების ინიციატორი და როგორც პიანისტი გამოდიოდა საკონცერტო პროგრამებით.

დაწერილი აქვს საფორტეპიანო ნაწარმოებები.